სამაგისტრო პროგრამა „ახალი და უახლესი ისტორია“
საგამოცდო საკითხები:

საგამოცდო საკითხები დაყოფილია ოთხ ბლოკად: ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (საკითხები 1-5), საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში (საკითხები 6-10), ახლო აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორია (საკითხები 11-15) და შორეული აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორია (საკითხები 16-20). საგამოცდო ლიტერატურა, გარდა საკითხებისა 16, 17 და 20, ატვირთულია ელექტრონული სახით ვებგვერდზე: https://drive.google.com/drive/folders/1y2rvN89W_PqBkQ2TAWVFAFsoRuooAplB?usp=drive_link. საგამოცდო ბილეთში შევა ოთხი საკითხი (თითო საკითხი თითოეული ბლოკიდან. იქ, სადაც საკითხი დაყოფილია ქვესაკითხებად, ბილეთში შევა ერთ-ერთი ქვესაკითხი) და თითოეული მათგანი შეფასდება მაქსიმუმ ოცდახუთი ქულით. დადებითი შედეგის მისაღწევად საჭიროა მინიმუმ 51 ქულის დაგროვება.

1. ინგლისის ამერიკული კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის (ინგლისის ამერიკული კოლონიების ადმინისტრაციული მართვა შვიდწლიანი ომის დამთავრების შემდეგ 1772 წლამდე; „ბოსტონის ჩაის სმა“ და მდგომარეობა 1773-1776 წლებში. პირველი კონტინენტური კონგრესი; ომის დასაწყისი. მეორე კონტინენტური კონგრესის მოწვევა. ბანკერ ჰილის (ბრიდსჰილის) ბრძოლა. ბოსტონის ევაკუაცია ინგლისელების მიერ; ომის მსვლელობა 1775 წლის მეორე ნახევრიდან 1776 წლის ივლისამდე. თომას პეინის „საღი აზრი“. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება; ომის მსვლელობა 1775 წლის მეორე ნახევრიდან 1776 წლის ივლისამდე. თომას პეინის „საღი აზრი“. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება; ომის მსვლელობა 1776-1777 წლებში. სარატოგა; ომის მსვლელობა 1777-1782 წლებში. საფრანგეთის ჩაბმა ომში. იორკთაუნი და ინგლისელების საბოლოო მარცხი. პარიზის 1783 წლის ზავი).
ლიტ.: **თეიმურაზ პაპასქირი.** ინგლისის ამერიკული კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. იხ. რიდერი.
2. 1789წ. საფრანგეთის რევოლუცია და ნაპოლეონის ეპოქა (რევოლუციის დასაწყისი და მიმდინარეობა 1789-1792 წლებში, რესპუბლიკის დამყარება; საფრანგეთის რესპუბლიკა 1792-1799 წლებში; ნაპოლეონის ეპოქა).
ლიტ.: **ვაჟა თვალავაძე.** ახალი ისტორია. I პერიოდი. 1640-1815. თბილისი, 2005; **ხათუნა დიასამიძე.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია. ბათუმი, 2021, გვ. 191-270.
3. რუსეთი და საბჭოთა კავშირი 1917-1941 წლებში (რუსეთი პირველ მსოფლიო ომში, თებერვლის რევოლუცია რუსეთში და მისი მიზეზები; რუსეთი 1917 წელს, ოქტომბრის გადატრიალება, დამფუძნებელი კრების დაშლა და რუსეთის გამოსვლა პირველი მსოფლიო ომიდან; სამოქალაქო ომი რუსეთში; სსრკ 1922-1928 წლებში; სსრკ 1928-1941 წლებში).
ლიტ.: **თეიმურაზ პაპასქირი.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბილისი, 2013, გვ. 161-187.
4. გერმანია XXს. 30-იან წლებში (გერმანია 1930-1932 წლებში; გერმანია 1933-1934 წლებში; გერმანიის საშინაო მდგომარეობა 1934-1939 წლებში; გერმანიის საგარეო პოლიტიკა 1934-1939 წლებში).
ლიტ.: **თეიმურაზ პაპასქირი.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბილისი, 2013, გვ. 107-126.
5. აშშ 1945-1968 წლებში (აშშ 1945-1952 წლებში; აშშ ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის პერიოდში; აშშ XXს. 60-იან წლებში).
ლიტ.: **თეიმურაზ პაპასქირი.** ამერიკის შეერთებული შტატები XX საუკუნის 60-იან წლებში. იხ. რიდერი.

6. ბისმარკი და გერმანიის გაერთიანება (1862-1871 წლები).
თეიმურაზ პაპასქირი. ბისმარკი და გერმანიის გაერთიანება. იხ. რიდერი; **ხათუნა დიასამიძე.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია. ბათუმი, 2021, გვ. 430-438.
7. საერთაშორისო ურთიერთობები მსოფლიო ომებს შორის (პარიზის საზავო კონფერენცია და ვერსალის ზავი; გერმანიის რეპარაციების საკითხი, რურის ოკუპაცია, დაუესისა და იანგის გეგმები; „ოთხთა პაქტი“ და გერმანიის გასვლა ერთა ლიგიდან, ღერძის ხელშეკრულებისა და ანტიკომინტერნული პაქტის მომზადება და ხელმოწერა; სუდეტის კრიზისი და გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა; საერთაშორისო ურთიერთობები 1939წ., სსრკ-გერმანიის პაქტის გაფორმება და პოლონეთის დაპყრობა).
ლიტ.: **თეიმურაზ პაპასქირი.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბილისი, 2013, გვ. 39-43, 50-52, 54-55, 214-224.
8. საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის დროს (მოლაპარაკებები მეორე ფრონტის გახსნის ადგილისა და დროის შესახებ 1942წ.; თეირანის კონფერენცია; ყირიმის კონფერენცია; პოტსდამის კონფერენცია; სან ფრანცისკოს კონფერენცია და გაეროს შექმნა).

ლიტ.: **თეიმურაზ პაპასქირი.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბილისი, 2013, გვ. 305-312, 319-322, 330-343; **თეიმურაზ პაპასქირი.** მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში. 1941-1943. თბილისი, 2002; **თეიმურაზ პაპასქირი.** „დიდი სამეულის" დიპლომატია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე. 1944წ. სექტემბერი – 1945წ. მაისი. თბილისი, 2006.

9. საერთაშორისო ურთიერთობები 1945-1955 წლებში. „ცივი ომის" დასაწყისი (ბერლინის 1948წ. კრიზისი და გფრ-სა და გდრ-ს შექმნა; დაპირისპირებული ბლოკების შექმნა; კორეის ომი).

ლიტ. **თეიმურაზ პაპასქირი.** საერთაშორისო ურთიერთობები 1945-1955 წლებში. იხ. რიდერი.

10. საერთაშორისო ურთიერთობები XXს. 80-90-იან წლებში (ავღანეთის ომი; სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ს დაშლა; მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში: ომი სპარსეთის ყურეში, ისრაელ-პალესტინისა და ისრაელ-იორდანიის 1994-1995 წლების სამშვიდობო შეთანხმებები).

ლიტ.: **თეიმურაზ პაპასქირი.** საერთაშორისო ურთიერთობები XXს. 80-90-იან წლებში. იხ. რიდერი.

11. ახლო აღმოსავლეთი XIX საუკუნეში (სელიმ III-ის რეფორმები; 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი).

ლიტ.: **მ. სვანიძე.** თურქეთის ისტორია. თბილისი, 2007, გვ. 81-90; 260-265; 327-330; **თეიმურაზ პაპასქირი.** აღმოსავლეთის კრიზისი და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი. იხ. რიდერი.

12. ახლო აღმოსავლეთი ომთა შორის პერიოდში (სამანდატო სისტემის შექმნა წინა აზიის არაბულ ქვეყნებში; რეზა შაჰის რეფორმები; მუსტაფა ქემალის რევოლუცია).

ლიტ.: **რ. გაჩეჩილაძე.** ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი, 2008, გვ. 273-292. **გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი.** ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან. თბილისი, 2011, გვ. 203-207; 216-224.

13. თანამედროვე ირანი (1953 წლის სახელმწიფო გადატრიალება; ირანის 1979 წლის ისლამური რევოლუცია).

ლიტ.: **გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი.** ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან. თბილისი, 2011, გვ. 287-291; 308-317.

14. ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომები (1948-1949 წლების ომი; 1956 წლის სუეცის კრიზისი; „ექვსდღიანი ომი"; „იომ-ქიფურის ომი").

ლიტ.: **გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი.** ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან. თბილისი, 2011, გვ. 467-491; **თეიმურაზ პაპასქირი.** საერთაშორისო ურთიერთობები 1945-1955 წლებში; საერთაშორისო ურთიერთობები 1956-1991 წლებში. იხ. რიდერი.

15. შეიარაღებული კონფლიქტები სპარსეთის ყურის რეგიონში (ირან-ერაყის ომი (1980-1988); ერაყ-ქუვეითის კონფლიქტი; ერაყის 2003 წლის ომი).

ლიტ.: **გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი.** ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან. თბილისი, 2011, გვ. 430-453.

16. იაპონიის თვითიზოლაცია (იაპონიის თვითიზოლაციის პოლიტიკის არსი და მისი მიზეზები; ტოკუგავას დინასტიის რეჟიმის კრიზისი და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება; შოგუნატის დამხობა).

ლიტ.: **ნანა. გელაშვილი.** იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში, თბილისი, 2012, გვ. 247-253; **ნანა გელაშვილი.** იაპონიის თვითიზოლაციის პოლიტიკის არსი. ჰუმანიტარული კვლევები -წელიწდეული, №4, 2013, გვ. 199-209.

17. იაპონიის გახსნა და მეიჯის ეპოქა (კომოდორ პერის მისია იაპონიაში და იაპონიის გახსნა; უთანასწორო ხელშეკრულებები დასავლეთის სახელმწიფოებთან; მეიჯის რეფორმები და მისი შედეგები).

ლიტ.: **ნანა გელაშვილი.** იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში, თბილისი, 2012, გვ. 279-293; 303-311; **ნანა გელაშვილი.** იაპონია და დასავლური სამყარო მე-19 საუკუნის შუა ხანებში. აღმოსავლეთმცოდნეობა, №1, 2012, გვ. 186-195; **ნანა გელაშვილი.** იაპონიის თვითიზოლაციის დასასრული 1854 წელს და მისი შედეგები. აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, №5, 2022, ბათუმი, გვ. 26-41.

18. ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა 1931-1938 წლებში (იაპონიის გააქტიურება შორეულ აღმოსავლეთში; აგრესია ჩინეთის მიმართ 1937-1938 წლებში).

ლიტ.: **თეიმურაზ პაპასქირი.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბილისი, 2013, გვ. 275-281.

19. იაპონიის თავდასხმა აშშ-ზე და ომის მიმდინარეობა წყნარი ოკეანის რეგიონში 1941-1945 წლებში (იაპონიის თავდასხმა პერლ-ჰარბორზე; ომის მიმდინარეობა 1942-1943 წლებში; საომარი მოქმედებები წყნარ ოკეანეში 1944-1945 წლებში, ომის დასასრული და იაპონიის კაპიტულაცია).

ლიტ.: **თეიმურაზ პაპასქირი.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბილისი, 2013, გვ. 281-297.

20. ჩინეთი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ (სამოქალაქო ომი ჩინეთში და კომუნისტური რეჟიმის დამყარება; კულტურული რევოლუცია; ჩინეთის საგარეო პოლიტიკა 1949-1979 წლებში; დენ სიაოპინის რეფორმები; ჩინეთი XXI საუკუნეში).

ლიტ.: ჩინეთის ისტორია. თბილისი: „ოქროს საწმისი“, 2022, გვ. 575-583; 590-607.

პროგრამის ხელმძღვანელი: /თეიმურაზ პაპასქირი/